ოჯახის გაძლიერება სდომ - ის ოჯახური დახმარების საშუალებით

სდომ - სოციალური დახმარება ოჯახისა და მოზარდთათვის (დ. კ.) თავისი დაარსებიდანვე თან ახლავს ოჯახებს, მშობლებს და ბავშვებს, მათი ცხოვრების კრიტიკულ ფაზებში.

ჩვენს ორგანიზაციაში მუშაობენ პედაგოგიურად კვალიფიცირებული თანამშრომლები, რომელთა უმეტესობასაც ასევე დამატებითი პროფესიაც გააჩნიათ. თითოეული მათგანი ასევე სისტემატიურად ესწრება კვალიფიკაციის ასამაღლებელ სწავლებებს.

გზა დახმარებისაკენ

თქვენ შეგიძლიათ დაეკონტაქტოთ სდომ - ის თანამშრომლებს ან დაუკავშირდეთ თქვენი რაიონის სოციალურ სამსახურს.
სოციალურ სამსახურში მშობლებს შეუძლიათ შეტიანონ განცხადება.
იგივე სამსახური, განცხადების საფუძველზე, კონსულტაციას გაუწევს მშობლებს და შეამოწმებს დახმარების დაფინანსების შესაძლებლობას.

დახმარებას თავზე იღებს სდომ - ი - სოციალური დახმარება ოჯახისა და მოზარდთათვის (დ. კ.)

სდომ - ი დამოუკიდებელია სოციალური სამსახურისაგან.

სდომ ოჯახური დახმარება

SAFJ - Soziale Arbeit für Familie und Jugend e.V.
Kriegsstraße 160
D-76133 Karlsruhe

ტელ.: 0721 / 8 24 48 10
ფაქსი: 0721 / 8 24 48 13
ელ - ფოსტა: info@safj.de

www.safj.de

SAFJ e.V.
Familienhilfe

ოჯახური დახმარება

ჩვენ ვეხმარებით ოჯახებს მათი ცხოვრების კრიტიკულ ფაზებში

ბავშვების აღზრდა დღესდღეობით მშობლებისათვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ზოგჯერ დგება ცხოვრების განმავლობაში ფაზა, როდესაც მრავალი პრობლემა ერთად გროვდება. ამ დროს რთულდება ან შეუძლებელი ხდება, პარალელურად ბავშვების აღზრდასთან ერთად, სხვა მოვალეობების ან საქმიანობების შესრულება, რომლებსაც ყოველდღიური ცხოვრება მოითხოვს.
ასეთ კრიტიკულ პერიოდებში იკარგება გამოსა-ვლის- ძებნისათვის საჭირო ხედვა და უნარი - თით-ქოს პრობლემებიც მრავლდებიან. შედეგი კი უმეტეს შემთხვევაში - ერთმანეთთან დაშორება, სკოლებთან და სხვა დაწესებულებებთან კონფლიქტი, ისევე როგორც ბავშვის ინტერნატში გაშვებაა. ყოველივე ეს კი უმეტეს შემთხვევაში არ არის საჭირო.
ყოველ ოჯახს გააჩნია საკუთარი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მათი თანაცხოვრება ისევე როგორც უნარი ამ ფორმის თანაცხოვრებისა. როდესაც ოჯახში იკარგება ეს წარმოდგენა ან უნარი, უმეტეს შემთხვევაში სწორედ მაშინ იქმნება გარე - დახმარების საჭიროება. მოგვმართეთ, ჩვენ სიამოვნებით დაგეხმარებით!

ოჯახის სოციალურ - პედაგოგიური დახმარება

SAFJ e.V.
Familienhilfe

ჩვენი შემოთავაზება

- ᲝᲡᲰᲓ - ოჯახის სოციალურ პედაგოგიური დახმარება
- ოჯახური თერაპია
- ოჯახზე ორიენტირებული დახმარება მოსწავლეთათვის
- აღმზრდელობითი სამუშაოს მზადყოფნის სამსახური
- ჯგუფური ღონისძიებები ბავშვთა, მოზარდთა და ზრდასრულთათვის

შემოთავაზებული დახმარებების მიზნები

- საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა და გამოყენება
- ინტეგრაცია გარემოს რესურსების გამოყენების საშუალებით
- ყოველდღიური გადატვირთვის შემცირება
- აღმზრდელობითი პრობლემების გადაწყვეტა
- ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲒᲐᲔᲬᲔᲕᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

ჩვენ გთავაზობთ დახმარებას შემდეგ სფეროებში

- მშობლების კონსულტაცია აღმზრდელობით საკითხებში
- დახმარება ყოველდღიური საკითხების გადაწყვეტაში
- კონფლიქტებთან მიმართებაში ქცევის სტრატეგია
- დახმარება სასკოლო პრობლემებში
- დახმარება ბავშვების ინტერნატებიდან უკან დაბრუნებაში
- დახმარება საცხოვრებელ ფართთან არსებულ პრობლემებში
- დახმარება დაწესებულებებთან ურთიერთობაში
- დახმარება სასწავლო და სამუშაო ადგილის ძებნაში
- მოზარდთა დახმარება მათ საჭიროებებში
- საცხოვრებელ რაიონში შემოთავაზებულ ღონისძიებებში ინტეგრაცია

ინტერკულტურული კომპეტენცია

ჩვენთვის წინა პლანზე დგას ემიგრირებულ ოჯახებთან, ბავშვებთან და მოზარდებთან, ინტერკულტურული სარჩულით მუშაობა.

დახმარებას გთავაზობთ შემდეგ ენებზე:
თურქულად, არაბულად, ქურთულად, სპარსულად, ფრანგულად, ინგლისურად, რუსულად, ქართულად და იტალიურად

ჩვენი თანამშრომლების გარკვეულ ნაწილს გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება ბავშვებთან, მოზარდებთან და ოჯახებთან ინტერკულტურულ მუშაობაში, ისევე როგორც მათ მშობლიურ ენაზე საუბრის კომპეტენცია.

გაქვთ ჩვენთან შეკითხვები?

გესაჭიროებათ დახმარება ან თანადგომა? შეგიძლიათ მოგვმართოთ!

დაგვიკავშირდით შემდეგ საკონტაქტო მონაცემებზე:

0721 / 8 24 48 10

info@safj.de